საქართველოს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების პრობლემები

ნოდარ სამხარაძე
თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი
მარიამ კაპანაძე
თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტი

დღევანდელ მსოფლიოში წარმოუდგენელია რომელიმე ქვეყანამ განვითარებაში ხელშესახებ წარმატებას მიაღწიოს ჩაკეტილი ეკონომიკის ავტარკიის პირობებში.

საგარეო ეკონომიკური ერთიერთობები, კერძოდ საგარეო ვაჭრობა განსაკუთრებით აქტუალურია ისეთი პატარა ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა. საქმე ისაა, რომ დიდი ქვეყანა შეიძლება იყოს განვითარებული, აწარმოებდეს დიდი რაოდენობით გარკვეულ პროდუქციას, მაგრამ ექსპორტზე არ გაჰქონდეს იმის გამო, რომ მისი შიდა მოთხოვნილება საკმარისი მოცულობის იყოს და გასატანიც აღარაფერი ჰქონდეს. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ჩინეთის ეკონომიკა, რომელმაც განვითარების მაღალი ტემპების შენარჩუნება ბოლო ეკონომიკური კრიზისის დროს შეძლო პროდუქციის შიგა მოხმარების გაზრდის ხარჯზე.

ცნობილია, რომ მრეწველობის გარკვეულ დარგებში მოქმედებს წარმოების მასშტაბის ეფექტი, რომელიც იწვევს წარმოებლი პროდუქციის მოცულობის ზრდასთან ერთად ერთეულ პროდუქციაზე ხარჯების შემცირებას. პატარა ქვეყნის პრობლემა ის არის, რომ მათ ამ ეფექტის მიღწევა არ შეუძლიათ ჭარბი პროდუქტის ექსპორტის გარეშე, რადგან სამამულო მოთხოვნის მოცულობა მცირეა დიდ ქვეყნებთან შედარებით, რაც მასშტაბის ეფექტის სრულფასოვნად გამოყენების საშუალებას არ იძლევა.

ცნობილია, რომ სხვადასხვა ქვეყანებში ანალოგიური პროდუქციის წარმოებისას, უმეტეს შემთხვევაში, ფაქტორული დანახარჯები განსხვავებულია: ერთი ქვეყანა ხარჯავს, მაგალითად, უფრო იაფ შრომას და ძვირ კაპიტალს, მეორე კი, პირიქით; ანუ ერთი ქვეყანა ფლობს აბსოლუტურ ან შეფარდებით უპირატესობას ერთი საქონლის წარმოებისას, მეორე ქვეყანა კი, სხვა საქონლის წარმოებისას. ამ შემთხვევაში საგარეო ვაჭრობა ამ ქვეყნებს შორის ურთიერთსარგებლიანია.

ზემოთ აღნიშნული საკითხები საკმაოდ მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ განისაზღვროს ჩვენი სტატიის აქტუალობა.

ცნობილია, რომ საქართველო საბჭოთა კავშირის დაშლამდე საკმაოდ განვითარებული ქვეყანა იყო, როგორც ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოებით, ისე შემოსავლების მხრივ. საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქტები (ჩაი, ციტრუსი, ალკოჰოლური სასმელები, ადრეული კარტოფილი, მწვანილი და სხვა) მთელი კავშირში იგზავნებოდა; ასევე სამრეწველო პროდუქციით ჩაბმული იყო მოკავშირე რესპუბლიკებთან კოოპერაციაში. ფაქტიურად არ არსებობდა უმუშევრობა. 1990 წლებამდე უმუშევრობა ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 0,5% არ აღემატებოდა. 1979 წელს საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი შეადგენდა 15,9 მილიარდ მანეთს, რაც მთლიანი შიგა პროდუქტის (მშპ) დეფლატორის გამოყენებით შეიძლება 25,6 მილიარდ აშშ დოლარს გავუტოლოთ.(1) 2011 წელს საქართველოს მშპ 14,6 მლრდ. აშშ დოლარს უდრიდა, ანუ მან 1979 წელს მშპს მხოლოდ 57.03% შეადგინა.

ამ მონაცემების შედარებით ამის ჩვენება გვინდა, რომ საქართველოში არსებობს ეკონომიკის განვითარების პოტენციალი, რომელიც სათანადოდ გამოყენება უნდა.

საბჭოთა კავშირის დაშლამ, სამოქალაქო ომმა, საერთო სტრუქტურულმა კრიზისმა ტოტალური უმუშევრობა გამოიწვია, რომელმაც 1992 წელს მოსახლეობის 45% მიაღწია. 2011 წლისათვის იგი შეადგენდა 15,1%.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში სტატისტიკური მონაცემები დასაქმების შესახებ მათი შეფასების კრიტერიუმებიდან გამომდინარე, გარკვეულ კითხვებს ტოვებს: კერძოდ, 1995 წელს საქართველოში თვითდასაქმებულთა რიცხოვნობამ გადააჭარბა დასაქმებულთა რაოდენობას და 2011 წლის მდგომარეობით მათ თითქმის 1,6 ჯერ აღემატებოდა. დასაქმებულთა შორის

თვითდასაქმებულთა რიცხვის ზრდა თავისთავად ცუდი არ არის, რადგან ეს მეტყველებს ობიექტურად მესაკუთრეთა რიცხვის ზრდას, მაგრამ, საუბედუროდ, ჩვენს შემთხვევაში, თვითდასაქმებულებში ძირითადად იგულისხმება სოფლის მეურნეობაში დაკავებული ადამიანები, რომლებიც სტატისტიკურად უმუშევრად არ ითვლებიან, მაგრამ მაინც ამ კატეგორიას უნდა მიეკუთვნებოდნენ, რადგან სხვადასხვაგვარი რისკ ფაქტორებისგან (მოუსავლიანობა, კლიმატური ფაქტორები, გასაღების ბაზრების შეზღუდულობა და სხვა.) ისინი დაცული არ არიან, თანაც, მაშინ როდესაც თვითდასაქმებულები 2011 წელს მთლიანად დასაქმებულთა რაოდენობის 52,3% შეადგენდნენ, მათ მიერ მიღებული ჯამური შემოსავალი მთელი დასაქმებული კონტიგენტის შემოსავლის მხოლოდ 16,8% შეადგინა (აქ შეყვანილია თვითდასაქმებულთა ყოველგვარი შემოსავალი, მათ შორის სოფლის მეურნეობიდან) აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ უმუშევრობის ციფრი რეალურად უფრო მაღალია. ძალიან საინტერესოა საქსტატის ახლა უკვე ყოფილი ხელმძღვანელის ზ. ჭელიძის მოსაზრება აღნიშნული საკითხის შესახებ, რომელიც მან გამოთქვა გაზეთ "კომერსანტისთვის" მიცემულ ინტერვიუში: "ოფიციალური სტატისტიკით, უმუშევრობა იზრდებოდა 2007 წლიდან 2009 წლამდე. იმავე ოფიციალური სტატისტიკით, 2009 წლის შემდეგ უმუშევრობა მცირდებოდა. ჩვენ ვიყენებთ მეთოდოლოგიას, რომლითაც მსოფლიოში აბსოლუტურად ყველა ქვეყანა სარგებლობს. პარალელურ რეჟიმში ტარდება განსხვავებული გამოკვლევები. ამ გამოკვლევებს განსხვავებული ორგანიზაციები აკეთებენ.

აქედან გამომდინარე, მაჩვენებლები განსხვავდება. უმუშევრობის დონესთან დაკავშირებით სხვადასხვა მოსაზრებები ისმის, რაც ჩვენთვის გასაგებია. როცა ადამიანთან მიდიხარ და ეკითხები მუშაობს თუ არა, თვითდასაქმებულების აბსოლუტური უმრავლესობა იტყვის, რომ ის არ მუშაობს. ბუნებრივია, უმუშევრობის მაჩვენებელი განსხვავებული იქნება. ჩვენ ადამიანებს სხვანაირად ვითვლით. მივდივართ და ვეკითხებით საკუთარი შრომით იღებენ თუ არა შემოსავალს. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი. ამიტომ ის ადამიანები, ვინც არიან თვითდასაქმებულები, მათ შორის კერძო რეპეტიტორები ან სოფლის მეურნეობაში დასაქმებულები, ყველა ეს ადამიანი დასაქმებულად ითვლება. გასაგებია, რომ ამ ადამიანების მდგომარეობა სახარბიელო არ არის და შეიძლება ისინი ძალიან მიზერულ შემოსავალს იღებენ. ამის მიუხედავად ჩვენ არ ვასხვავებთ ადამიანებს შემოსავლით. მაგალითად, ჩვენთან მუშაობს ძალიან ბევრი თანამშრომელი, დაქირავებული, რომელთაც თვეში 100 ლარი არ გამოსდით. ხომ არიან დასაქმებულები? ჩვენ რომ თვითდასაქმებულები უმუშევრად დავწეროთ და უმუშევრობის მაჩვენებელი 15-ის ნაცვლად 60 პროცენტი იყოს, ამ ადამიანების მდგომარეობა გაუმჯობესდება? 60%იანი უმუშევრობა არის ყველაზე ღარიბ და ჩამორჩენილ ქვეყნებში. ეს არის აფრიკის ქვეყნები, სადაც აბსოლუტურად არაფერი არ იქმნება, სადაც არის ჰიპერინფლაცია, ომი და სამოქალაქო დაპირისპირება".(2) ძალიან საინტერესო მიდგომაა, გამოდის, რომ მათხოვარი მეტროში, რომელიც მოწყალებას (შემოსავალს) იღებს თავისი შრომით (მოწყალების თხოვნასაც ერთგვარი შრომა ჭირდება), ან მომღერალი მიწისქვეშა გადასასვლელში, თვითდასაქმებულია და არა უმუშევარი. აი, როგორ კაზუსამდე მივყავართ სტატისტიკური მონაცემების შელამაზების სურვილს.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დაიწყო საქართველოს ეკონომიკური მაჩვენებლების მკვეთრი დაქვეითება. თანამედროვე პირობებში საქართველო ჩამორჩება არა მარტო ევროპის მოწინავე ქვეყნებს, არამედ უმრავლეს ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებს, მათ, ვისთან შედარებითაც უკეთესი საწყისი პირობები ჰქონდა.

შედარებისთვის ქვემოთ მოყვანილია საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის, ლატვიის და დანიის ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები; დანია შევარჩიეთ იმისთვის, რომ დაახლოებით საქართველოს ტოლი ქვეყანაა; ასევე იმიტომ, რომ მას, როგორც საქართველოს, განსაკუთრებული ბუნებრივი წიაღისეული და აქედან გამომდინარე რაიმე ფაქტობრივი უპირატესობები სხვა ქვეყნების მიმართ არ გააჩნია, აზერბაიჯანი და სომხეთი, როგორც ჩვენსავით შიგა ომებგადატანილი ქვეყნები, ხოლო ლატვია, როგორც პოსტსაბჭოთა ქვეყანა, რომელმაც თანამიმდევრული ეკონომიკური პოლიტიკით ხელშესახებ წარმატებას მიაღწია. დანიაში 1 სულ მოსახლეზე მშპ 2008 წელს შეადგინა 57417§, ხოლო სიღარიბის დონემ 0%, შესაბამისად ლატვიაში 14882§ და 0%, აზერბაიჯანში 5329§ და 30%, სომხეთში 3869§ და 20%, ხოლო საქართველოში 2934§ და 54%.(1)

როგორც მონაცემებით ჩანს, საქართველოს სიღარიბის დონით, მშპით ერთ სულ მოსახლეზე უსწრებენ არა მარტო დანია და ლატვია, არამედ მეზობელი სომხეთი და აზერბაიჯანი. თუ აზერბაიჯანთან ჩამორჩენა შეიძლება აიხსნას იმით, რომ მას აქვს ნავთობი და გაზი, რაც თავისთავად მზარდი შემოსავლის წყაროა, სომხ-

ეთთან ჩამორჩენის სუბიექტური მიზეზები აქვს, რომლის ანალიზს ეხლა აქ არ შევუდგებით, უბრალოდ აღვნიშნავთ, რომ მდგომარეობა მძიმეა და გამოსასწორებლად სასწრაფო ზომების მიღებაა საჭირო. დანიის მაგალითზე ჩანს, თუ განვითარების რა მაღალ დონეს შეუძლია მიაღწიოს პატარა ქვეყანამ ეკონომიკური პოლიტიკის სწორად წარმართვის პირობებში.

ეროვნული ეკონომიკის განვითარებაზე დიდ გავლენას ახდენს საგარეო ვაჭრობის ოპტიმიზაცია. ზოგადად, საქართველოში გარდაქმნის საწყის ეტაპებზე ვაჭრობამ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის გარდამავალ პერიოდში ხელი შეუწყო მოსახლეობის ფართო მასების ფიზიკურ გადარჩენას, რადგან ის გახდა შემოსავლის მიღების ერთ-ერთი ძირითადი და ხშირად ერთადერთი წყარო, მაგრამ მუდმივად ვაჭრობაზე ორიენტაცია (ერთი და იგივე საქონლის მრავალჯერად გადაყიდვა) და იმპორტზე ორიენტირება, ანუ "ზარმაცი" ეკონომიკის შენარჩუნება, ქვეყანას კარგს არაფერს უქადის.

ექსპორტს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ეროვნული ეკონომიკის ზრდის უზრუნველყოფაში. ექსპორტის გაფართოების საერთო დადებით ეფექტი მდგომარეობს შემდეგში: 1) იზრდება მუშაკთა დასაქმება, პროდუქციის გამოშვება და შემოსავალი. 2) მცირდება კვლავწარმოების კრიზისის შესაძლებლობა. 3) იზრდება სახელმწიფოს მიერ მიღებული თანხა უცხოური ვალუტით. 4) მყარდება სახელმწიფო ფინანსები. საგარეო ვაჭრობის საერთო დადებითი ეფექტი არის წმინდა ექსპორტის აქტიური სალდო, ხოლო პასიური სალდოს დროს, ანუ როცა იმპორტი მეტია ექსპორტზე, ხდება ქვეყნიდან ვალუტის გადინება.

საქართველოში საგარეო ვაჭრობის დინამიკა არასახარბიელოა, ექსპორტიმპორტის სალდო მკვეთრად უარყოფითია და მატების ტენდენცია აქვს: თუ, მაგალითად, 2007 წელს უარყოფითი სალდო იყო 3,9 მლრდ. აშშ დოლარი, 2012 წელს 5,4 მლრდ. აშშ დოლარი. გარდა იმისა, რომ იზრდება უარყოფითი სავაჭრო სალდო, იზრდება ერთ სულ მოსახლეზე იმპორტული პროდუქციის რაოდენობა: შესაბამისად, 2007 წელს 1195,4 აშშ დოლარი, 2012 წელს 1798,6 აშშ დოლარი, ე.ი. საქართველოში 2012 წელს იმპორტით შემოვიდა თითოეულ მოსახლეზე, მოხუცების და ძუძუთა ბავშვების ჩათვლით 1798,6 აშშ დოლარის ღირებულების სამრეწველო და სასოფლო სამეურნეო პროდუქცია; ხდება ისეთი კვების პროდუქტების იმპორტი, რომლის წარმოება ადგილზეა შესაძლებელი (სასოფლო სამეურნეო პროდუქცია 2012 წელს საქართველოში შემოვიდა 1,2 მლრდ აშშ დოლარის ღირებულების). საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქცია კონკურენციას ვერ უწევს სუბსიდირებულ თურქულ, ირანულ, ეგვიპტურ პროდუქტებს; დაისმის კითხვა, რამდენად მისაღებია საქართველოს ბაზრებისთვის მაქსიმალური გახსნილობა (როგორც ამას მოითხოვს მსო), როდესაც ჩვენი სახელმწიფო არათანაბარ საწყის პირობებშია სხვა განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით; რამდენად სასარგებლოა თავისუფალი ვაჭრობა, როდესაც ჩვენი პროდუქცია (განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის) არაკონკურენტუნარიანია (არა ხარისხის გამო) უცხო ქვეყნებიდან შემოტანილ სუბსიდირებულ პროდუქციასთან შედარებით; ხომ არ ვიჩქარეთ მსოში გაწევრიანება, რომლის წესდებაც ითხოვს ვაჭრობის მაქსიმალურ ლიბერალიზაციას? ან ხომ არ გავანიავეთ ის პრეფერენციული დრო, რომელიც მოცემული იყო მსოს მიერ, რომ მოვმზადებულიყავით მისი სრულფასოვანი წევრობისათვის? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მეტად ძნელია და ახლა არ შევეხებით, რადგან ცალკე, სერიოზულ კვლევას მოითხოვს.

თუ ზემოთ მოტანილ მონაცემებს გავაანალიზებთ, შესაძლებელია აღინიშნოს, რომ მდგომარეობა საქართველოს ეკონომიკაში მეტად არასახარბიელოა. მაგრამ აქ ისმის ასეთი კითხვა: მაშინ, როდესაც უმუშევრობა (ცხადი თუ ფარული) ქვეყანაში დიდია, ჭეშმარიტად დასაქმებული მოსახლეობის რაოდენობა მიზერული, როგორ ანაზღაურებს მოსახლეობა იმპორტს, ანუ როგორ ყიდულობს იმპოტირებულ საქონელს (აღსანიშნავია, რომ იმპორტული პროდუქციის ღირებულების დაახლოებით 7080%ს სამომხმარებლო სექტორი, ანუ მოსახლეობა, ანაზღაურებს).

რადგან იმპორტი დინამიკურად იზრდება, მაშასადამე, გაყიდვების მოცულობაც ასევე დინამიკურად იზრდება, მოსახლეობის შემოსავლების (დაქირავებული შრომიდან) შესამჩნევი ზრდის გარეშე. აქ მივადექით ისეთ საინტერესო მოვლენას, რომელიც ევროპაში ცნობილია "ჰოლანდიური დაავადების" სახელით. დაისმის კითხვა, კი მაგრამ რა შუაშია აქ საქართველოს ეკონომიკა, ჩვენ ხომ ნედლეულის ექსპორტს არ ვახორციელებთ, საიდან შემოდის ზედმეტი მყარი ვალუტა, "უშრომელი" შემოსავლები? ჩვენი აზრით, საქართველოში ემიგრანტებისგან ყოველწლიურად მზარდი გადმორიცხვები მსგავს ეფექტს ქმნიან. ოფიციალური მონაცემებით საქართველოს ყოველი მეოთხე ოჯახი იღებს დახმარებას უცხოეთში სამუშაოდ წასული

ახლობლებისგან. საქართველოში "ჰოლანდიური დაავადების" ერთ-ერთი მთავარი სიმპტომია საქონლის წარმოების ტემპის ვარდნა და მომსახურების ზრდის მაღალი ტემპის აკრეფა. საქართველოში ამ ბოლო წლებში ზუსტად ასეთი პროცესი მიმდინარეობს: 2006 წელს მთლიან შიგა პროდუქტში საქონლის წარმოება იყო 4539 მლნ ლარი, 2011 წელს 6848 მლნ ლარი, ე.ი. გაიზარდა 1,5ჯერ, მაშინ როცა მომსახურეობის მოცულობა ამავე პერიოდში გაიზარდა 7615 მლნ ლარიდან 14387 მლნ ლარამდე, ე.ი. თითქმის 2ჯერ.(4) სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს ის, რომ საქართველო მომსახურების და საქონლის წარმოების ფარდობით ტიპურ პოსტინდუსტრიალ ქვეყანას წარმოადგენს: მშპ-ში საქონლის წარმოების წილია 28%, ხოლო მომსახურების 59%. აქედან კარგად ჩანს საქართველოს ეკონომიკის არატიპური, დამახინჯებული განვითარების პარამეტრები, რაც ამ დაავადების სიმპტომებს წარმოადგენს.

ცხადია, რომ ფულადი გზავნილები საქართველოს ეკონომიკაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს. 2011 წლის სექტემბრის მდგომარეობით, საქართველოში შემოსულმა ფულადმა გზავნილებმა $812,6 მილიონს მიაღწია, რაც 19,6%იანია ზრდაა წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით და ქვეყნის მშპ-ის 6%ს შეადგენს. სულ ბოლო მონაცემებით 2013 წლის ნოემბერში ქვეყანაში შემოსული ფულადი გზავნილების ნაკადების მოცულობამ 124,4 მლნ აშშ დოლარი, ანუ 208,8 მლნ ლარი შეადგინა, რაც დაახლოვებით 8,6%ით მეტია 2012 წლის აპრილის ანალოგიურ მაჩვენებელზე.(3)

პარადოქსული სიტუაცია იქმნება: მიუხედავად იმისა, რომ უმუშევრობის დონე საკმაოდ მაღალია, ეროვნულდემოკრატიული ინსტიტუტის მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ გამოკითხული უმუშევარი რესპოდენტებიდან მხოლოდ მცირე ნაწილი არის დაინტერესებული, მოძებნოს სამუშაო(5). ძნელია დაზუსტებით იმის თქმა, რომ ყველა მათგანი დამოკიდებულია ფულად გზავნილებზე და ეს არის მათი სამუშაოს ძიებაში პასიურობის მიზეზი, ყოველ შემთხვევაში, ამას სხვა, ლოგიკური ახსნა არ გააჩნია.

მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც შეიძლება განხილული იქნეს საქართველოში როგორც "ჰოლანდიური ავადმყოფობის" გამომწვევი, არის დონორი ქვეყნების დახმარებები, კერძოდ, 2008 წლის ომის შემდეგ ქვეყანაში შემოვიდა 4 მილიარდამდე აშშ დოლარის დახმარება, თუ ამას დავუმატებთ ევროობლიგაციების ნახევარ მილიარდს, რომელიც გაუგებარია, რაში გვჭირდებოდა, საკმარისი საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ ქვეყნის განვითარების ის მაჩვენებლები, რომლებიც აქვს ქვეყანას, ეყრდნობა არაჯანსაღ საფუძვლებს: ძირითადათ ემიგრანტებისგან გადმორიცხულ თანხებს და უცხოურ დახმარებებს, ვალებს, რომელთა დიდი ნაწილის გასტუმრება მოგვიანებით მოგვიწევს.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოში ავად თუ კარგად ჩატარდა ეკონომიკური რეფორმა, რომელიც ითვალისწინებდა ძირითადად ცენტრალიზებული, გეგმიური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას. რეფორმები მიმდინარეობდა ძირითადათ ქაოტურად, მძიმედ, რაც გამოწვეული იყო გამოცდილი კადრების ნაკლებობით, შიგა ომებით, ნედლეულის, მაკომპლექტებლების მოწოდების და გასაღების ბაზრების ერთბაშად დაკარგვით და სხვა კატაკლიზმებით. ამ პირობებში ქვეყანამ შეძლო, გადაელახა სერიოზული პრობლემები და მიეღწია, მართალია, დაბალ დონეს, მაგრამ მაინც სტაბილიზაციისათვის; მთავარი კიდევ ისაა, რომ ქვეყანაში შექმნილია საბაზრო ეკონომიკის ინსტიტუციონალური საფუძვლები.

იმისათვის, რომ ქვეყანაში ეკონომიკა კიდევ უფრო განვითარდეს, საჭიროა გატარდეს რეფორმების მეორე რიგი, რადგან ჩვენ ეკონომიკას ძნელად თუ ვუწოდებთ საბაზროს კლასიკური გაგებით: ძალიან დაბალია კონკურენცია, ეკონომიკის დიდი ნაწილი მსხვილი ბიზნესმონოპოლისტების ხელშია, არ არსებობს დახვეწილი საკანონმდებლო ბაზა, რომელიც შეზღუდავს მათ საქმიანობას და გზას მისცემს ფართო კონკურენციას, ქვეყანაში დაბალია ექსპორტზე ორიენტირებული ეკონომიკური ერთეულების ხვედრითი წილი; გასულ წლებში არ იყო დაცული საკუთრების უფლება, არ არსებობდა ინსტიტუციები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ კონკურენციას, სასამართლო არ იყო დამოუკიდებელი. ასევე დიდი პრობლემები იყო განათლების, მეცნიერების, ჯანმრთელობის დაცვის სფეროების რეფორმირების საკითხებში.

არსებული მდგომარეობა მოითხოვს მეორე რიგის რეფორმების სასწრაფოდ გატარებას; ეს რეფორმები უნდა იყოს ძირითადად ინსტიტუციონალური, უფრო ღრმა და გააზრებული; გააზრებულს იმიტომ ვამბობთ, რომ პირველი რიგის რეფორმები გატარებული იქნა ზედაპირულად, ძირითადად უცხოელი სპეციალისტების კარნახით, მიდგომები იყო შაბლონური, ადგილობრივი პირობების გათვალისწინების გარეშე.

ჩვენი აზრით, ამჟამად არსებობს რეფორმების გატარების პირობები: საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, ახალ მთავრობას აქვს მოსახლეობის ნდობის კრედიტი, აგრეთვე მოლოდინი

იმისა, რომ ახლა მაინც ქვეყნის განვითარება დამყარებული იქნება კარგად გათვლილ, დასაბუთებულ, სერიოზულ ეკონომიკურ რეფორმებზე. რეფორმები საჭიროა დადებითი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების შესანარჩუნებლად. ერთი შეხედვით, საქართველოს ეკონომიკა ვითარდებოდა სტაბილურად, მაგრამ თუ შევაფასებთ ეკონომიკური ზრდის ხარისხს, ვნახავთ, რომ ეს ზრდა გამოწვეულია არა ღრმა, შეუქცევადი ინსტიტუციონალური გარდაქმნების, არამედ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მეტწილად "ჰოლანდიური დაავადების" შედეგად: ქვეყანაში არ ვითარდება მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, არ იქმნება სამუშაო ადგილები; 2008 წლის კრიზისის პერიოდამდე ვითარდებოდა მხოლოდ საბინაო მშენებლობის ინდუსტრია, რომელსაც შედარებით ნაკლები და ხანგრძლივი მულტიპლიკაციის ეფექტი აქვს, ვიდრე მრეწველობაში ინვესტიციებს. შეიძლება ითქვას, რომ ინოვაციური ეკონომიკის გარეშე შემდგომი ეკონომიკური ზრდა შეუძლებელი იქნება.

რას ვგულისხმობთ მეორე რიგის ეკონომიკურ რეფორმებში? რა ახალი ინსტიტუტების შექმნაა საჭირო ეკონომიკური ზრდის მყარი საფუძველის შესაქმნელად? ჩვენი აზრით, საჭიროა, განვითარდეს საფინანსო სექტორი, თავისი ინსტრუმენტებით და პროდუქტებით, რათა მოხდეს თანხების აკუმულირება და წარმართვა არა სამომხმარებლო ბაზარზე, არამედ გრძელ და საშუალოვადიან კაპიტალურ პროექტებში, რათა შეიქმნას ის მინიმალური ბაზა, რომელიც ქვეყნის შემდგომი ეკონომიკური განვითარების გარანტი გახდება.

საჭიროა აგრეთვე შეიქმნას არასახელმწიფო საპენსიო უზრუნველყოფის ფონდები, იპოთეკური დაკრედიტების და ფასიანი ქაღალდების ბაზარი, მეტად უნდა განვითარდეს საბანკო სექტორი, რადგან მაღალია კრედიტებზე პროცენტები და რაც მთავარია, გადამუშავდეს საგადასახადო კოდექსი მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მაქსიმალურად ხელშეწყობის კუთხით.

როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ მეორე რიგის რეფორმებზე, მისი შედეგი უნდა იყოს ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის სტიმული და თუ გნებავთ გარანტი. ეკონომიკის გარანტირებულად მდგრადი პროგრესი, დამყარებული მეორე რიგის რეფორმებზე, საშუალებას მოგვცემს დაჩქარებული ტემპით გავიაროთ ჩვენი საზოგადოების განვითარების ინდუსტრიული ფაზა და გადავიდეთ პოსტინდუსტრიულ ფაზაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ა. თვალჭრელიძე და სხვები. საქართველოს სოციალურეკონომიკური განვითარების პროგრამა. თბ. 2011.
2. ეკა ბაქრაძე. სტატისტიკური რებუსი, რომლის ამოხსნაც ჯერ ვერ მოხერხდა For.Ge, 2012, Tbilisi, Georgia. 20130531
3. ინტერნეტრესურსი. თბილისი. 15.05.13 "ჯიეიჩენი"
4. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული 2012.
5. საერთაშორისო ფულადი გზავნილების როლი საქართველოს ეკონომიკაში. ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი. დეკემბერი. 2011წ. http://eprc.ge/admin/editor/uploads/files/Report_3_Geo_WEB.pdf

PROBLEMS OF THE EXTERNAL ECONOMIC RELATIONS OF GEORGIA

NODAR SAMKHARADZE - Prof. of Tbilisi open study universitety

MARIAM KAPANADZE - Student of Tbilisi open study universitety

The article covers several problem of economic development of Georgia. It is mentioned that situation is unfavorable: unemployment range is large, import prevails export and so on. The main income of majority of population is aid from relatives employed abroad, which causes the effects of "Dutch disease" or "lazy economics". The economic recovery we believe is possible, through fast and targeted institutional reforms.